6195

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 9 ივლისი 1941 წ. № 160 (6165) ფასი 15 კაპ.

წითელი არმიის დასახმარებლად — მძლავრი სახალხო ლაშქარი

სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად სამშობლო მიწა-წყლის დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა პატრიოტების გულში გიზგიზებს ცეცხლი უსაზღვრო სიყვარულისა სამშობლოსადმი და საშინელი სიძულვილისა ვერაგი მტრისადმი.

ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის უბრალო, გულითადმა, გულის სიღრმეში ჩამწვდომმა სიტყვებმა თვალნათლივ დაგვანახვეს სერიოზული საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება ყაჩაღი ფაშისტების თავდასხმით. ამ სიტყვებმა ყველას განუმტკიცეს იმის რწმენაც, რომ მტერი განადგურებულ, მოსპობილ იქნება. ადგილი არა აქვს უდარდელობასა და უზრუნველობას. ადგილი არა აქვს სისუსტესაც. ეს გრძნობა უცხოა საბჭოთა ხალხისათვის, — ამაში უკვე დარწმუნდა საზიზღარი მტერი ბრძოლების პირველ დღეებშივე.

წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობით ამაყობს არა მარ-...

...ცით. ისინი გამსჭვალულია საბრძოლო სულისკვეთებით.

მოწოდებას ეხმაურებიან სამოქალაქო ომის ვეტერანები. ისინი კვლავ ახალგაზრდები ხდებიან. გიზგიზა ცეცხლით ენთება თვალები. მოსკოვის სამუხრუჭე ქარხნის ოსტატმა ამხ. შევჩენკომ მიტინგზე სთქვა:

— თუმცა 54 წლისა ვარ, მაგრამ შემიძლია ხელში დავიჭირო შაშხანა. სამოქალაქო ომის წლებში მოხალისედ შევედი წითელ არმიაში. ახლა გთხოვთ, ბელადის მოწოდების პასუხად, ჩამრიცხოთ სახალხო ლაშქარში. ვფიცავ ვურტყა მტერს მის სრულ მოსპობამდე.

ლენინგრადში სამოქალაქო ომის მონაწილენი მიდიან სახალხო ლაშქრის ქვედანაყოფთა პირველ რიგებში. მთელ ჩვენს ქვეყანაში ქარხნები და ფაბრიკები მებრძოლ კადრებს იძლევიან სახალხო ლაშქრისათვის. უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით გამსჭვალულია ფიცი — მთლიანად შესწირონ თავი, მთელი თავისი ძალღონე და თავისი სიცოცხლე სამშობლოს დაცვას.

ალსდგება მძლავრი კოლმეურნე...

...დან ამოიჭრა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა გათავხედებულ და მკვეხარა მტერს.

სახალხო ლაშქარმა 1812 წელს ხელი შეუწყო რუსეთის არმიას დაემარცხებინა და მოესპო უდიდესი მხედართმთავრის ნაპოლეონის არმია. ...

...

ომში გერმანიის ფაშიზმთან".

ამხანაგ სტალინის მოწოდებას დაუყოვნებლივ მოჰყვა პასუხად ათეულ და ასეულ ათასობით განცხადებანი. ეს განცხადებანი გამსჭვალულია რკინისებური ნებისყოფითა და შეუდრეკელი სიმტკი-...

...ქარმა, რომელსაც მინინი და პოჟარსკი მეთაურობდნენ, გაანადგურა პოლონეთის არმია და მშობლიური ქვეყნიდან განდევნა დამპყრობლები. დღემდე ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში სახელი ამ ჯარისა, რომელიც თითქოს მიწი-...

...

„პრავდის" მოწინავე, 7/VII.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
(8 ივლისის დილის ცნობა)

საბრძოლო მოქმედება, რომელიც 7 ივლისს დილისით გაიშალა ოსტროვის, პოლოცკის, ლეპელის, ბობრუისკის, ნოვოგრად-ვოლინსკისა და მოგილიოვ-პოდოლსკის (უკრაინა) მიმართულებებით, შეუსუსტებელი ძალით გრძელდებოდა 7 ივლისს ღამით.

ოსტროვის მიმართულებით ჩვენი ჯარის ნაწილები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და აკავებდნენ მის წინსვლას.

პოლოცკის მიმართულებით გრძელდება მედგარი და დაძაბული ბრძოლა მოწინააღმდეგესთან ბორკოვიჩის რაიონში.

ლეპელის მიმართულებით ჩვენი კვლავ უწევს წ... ჩვენი ჯარების მი... მიტანილ კონტრიე... ლა გრძელდება.

ბობრუისკის ... ჩვენი ჯარის ნაწ... მოწინააღმდეგის ...

...

...ლოვდა და სროლა აუტეხა უკანა თვითმფრინავს, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და მიწაზე დაეცა. ბუნდიუკმა მტრის დაბნეულობით ისარგებლა და მეორე თვითმფრინავი დაცხრილა, შემდეგ კი ბრძოლა გაუმართა დანარჩენ ორ თვითმფრინავს და ჩამოაგდო მესამე მანქანა. ფაშისტთა მეოთხე თვითმფრინავმა ბრძოლას თავი აარიდა და გაიქცა.

* * *

ამ დღეებში № ნაწილმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ქარბ ძა-...

...

აგრეთვე სტატიებს, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ წითელი არმიის დამახასიათებელ უშიშრობას, შეუპოვრობასა და მოქნილობას.

მსოფლიო პრესა იუწყება აგრეთვე, რომ გერმანიის ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით.

* * *

ფრონტის ბესარაბიის უბანზე საბჭოთა პოლკების კონტრიერიშით განადგურებულ და უკუგდებულ იქნა რუმინეთ-გერმანიის ჯარების ნაწილი. ჩვენს მიერ დაკა-...

...

...ხები. „1916 წლის განმავლობაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ" შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ანგარიშიდან ცნობილია, რომ მეფის რუსეთში სულ 19.785 ექიმი იყო. ამრიგად, მატყუარა ფაშისტებმა ყოველი ექიმი $4^1/_2$-ჯერ დასაჯეს სიკვდილით. კარგი იქნებოდა გერმანიის პროპაგანდის სამინისტროში მოკალათებულ ვაჟბატონებს შეეთვისებინათ ერთი ძველი ანდაზა: „იცრუე, მაგრამ ზომა იცოდე".

* * *

...

...განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს 88 ათასი ექიმი. ფაშისტური პროპაგანდის ეს სულელური მონაჭორი რაიმე უარყოფის ღირსიც კი არ არის. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად ფაშისტმა ცრუპენტელებმა გაამჟღავნეს ჭორების დამზადების საკუთარი ხერ-...

...გადასხმის საქალაქო პუნქტში. საბჭოთა პატრიოტი ქალები თავიანთ სისხლს უთმობენ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაჭრილ მებრძოლებს. ყველაფერი ომისათვის! ყველაფერი ფრონტისათვის — ასეთია საბჭოთა პატრიოტების დევიზი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
(8 ივლისის საღამოს ცნობა)

...ისის განმავლობაში გაა... ლი ბრძოლები გრძელ... ოსტროვის, პოლოცკის, ...დ-ვოლინსკისა და ბელ... იმართულებებით. ჩვენმა ნაწილებმა არტილერიის, ...ა და ავიაციის დახმარე... თელი რიგი ძლიერი ...რიშები მიიტანეს და ...წინსვლა შეაჩერეს.

...ბისა და საარტილერიო ცეცხლით მოსპობილია მტრის 2 ასეული, რომელიც ჩვენი ჯარის ნაწილებზე იერიშის მოტანას ცდილობდა.

დუნაის სამხედრო ფლოტილიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის ტრანსპორტებს მდინარეზე. შემჩნეულია, რომ ყუმბარები მოხვდა სამ ტრანსპორტს, ...

...რებმა მთელი რიგი მძლავრი კონტრიერიშები მიიტანეს რუმინეთ-გერმანიის შემომტევ ჯარებზე.

კონტრიერიშების შედეგად მტერი უკუქცეულ იქნა და უწესრიგოდ დაიხია მდინარე პრუტის გაღმა, ამასთანავე დასტოვა იარაღი და საჭურველი.

მურმანსკის, კანდალაქშისა და უხტის მიმართულებებით ჩვენი ჯარები ბრძოლას აწარმოებდნენ მტრის ცალკეულ ჯგუფებთან, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე სოლივით შემოიჭრნენ.

დღის განმავლობაში ჩვენს ავიაციას წარმატებით მიჰქონდა იერიში მტრის ავიაციის წინააღმდეგ მის აეროდრომებზე და რამდენჯერმე დაარტყა მის სატანკო და მოტორიზებულ ჯარებს. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 56 თვითმფრინავი. ჩვენმა ავიაციამ 4 თვითმფრინავი დაჰკარგა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის გემებმა ავიაციის დახმარებით წარმატებით გადასხეს დესანტი წითელი არმიის ნაწილების დასახმარებლად.

ხანკოს რაიონში ნალმფრქვევე-...

...ხეიული იყვნენ, რომ საავგომლი... ვი საცეცხლე წერტი დანგრეულია, მისი მიმართულებით დაიძრნენ. ხანგრძლივი საცეცხლე წერტის გარნიზონმა რაც შეიძლებოდა ახლოს მიუშვა გერმანელთა ქვეითი ჯარი და კვლავ გრიგალისებური სროლა აუტეხა. მტერმა ბრძოლის ველზე ასობით მოკლული და დაჭრილი დასტოვა. ყუმბარების აფეთქების ძალა ჰაერში ისროდა არა მარტო ფაშისტ ჯარისკაცებს, არამედ მოტოციკლებსა, ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებსაც.

* * *

თეთრფინელებმა მოულოდნელად მოიტანეს იერიში წითელარმიელთა ოცეულზე. მტრის სნაიპერებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნე. ქვემეხი დადუმდა უაღრესად გადამწყვეტ მომენტში. თეთრფინელებმა ამით ისარგებლეს და იერიში გააძლიერეს. საჭირო იყო სროლის განახლება ყოველ მიზეზს გარეშე. უმცროსი სერჟანტი ეგოროვი, რომელსაც მტერი ტყვიას სეტყვასავით აყრიდა, ქვემეხთან მიცოცდა. მტერი გააფთრებით ცდილობდა ხელი შეეშალა გუ-...

...ლადი სერჟანტისათვის და ტყვიამფრქვევს უშენდა მას. მაგრამ მამაცი მეთაური მიცოცდა ქვემეხთან, გამოაგორა იგი წინ 10 მეტრზე და სროლა აუტეხა თეთრფინელებს, რომლებსაც იერიში მოჰქონდათ. მტერმა სროლა შესწყვიტა. ოცეული კონტრიერიშზე გადავიდა და თავის წინანდელი პოზიციები დაიკავა.

...ხნის ჭედადი თუჯის სამქროს მუშებმა 6 ივლისს 148 პროცენტით შეასრულეს გეგმა. ურიუპინსკში ლენინის სახელობის ქარხნის სტახანოველებმა სამოხველოვმა და კოშკარევმა ცვლაში სამი ნორმა შეასრულეს. კამიზიაკის რაიონის კოლმეურნეობამ „პუტ ლენინამ" ვადამდე შეასრულა ხორცის, ერბო-კარაქისა და კვერ-...

...

ამხ. სტალინმა მიიღო ინგლისის ელჩი ბ-ნი კრიპსი

8 ივლისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სტალინმა მიიღო ინგლისის ელჩი ბ-ნი კრიპსი.

საუბარი ერთ საათზე მეტს გაგრძელდა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მფრინავებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭოს და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი გადაეცეს:

1. რგოლის მეთაურს მფრინავს უმცროს ლეიტენანტ სტეფანე ივანეს-ძე ზდოროვცევს;
2. მფრინავს უმცროს ლეიტენანტ მიხეილ პეტრეს-ძე ჟუკოვს;
3. მფრინავს უმცროს ლეიტენანტ პეტრე ტიმოთეს-ძე ხარიტონოვს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1941 წლის 8 ივლისი

გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის გაცემის წესის შესახებ

შემოსული შეკითხვების გამო, პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ განმარტა, რომ გამოუყენებელი შვებულებისათვის იმ კომპენსაციის გაცემა, რომელიც გათვალისწინებულია „ომიანობის დროს მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის რეჟიმის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით, უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ მუშაკის სამუშაო წლის უკანასკნელი თვის დამლევს. (საკდესი).

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავეს ისლანდია

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რუზველტმა გამოაცხადა, რომ ისლანდია დაკავებულია ა. შ. შტატების მიერ.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მიუხედავად იმისა, რომ ისლანდიაში ამერიკის ჯარები ჩავიდნენ, ინგლისის ჯარები დროებით რჩებიან ისლანდიაში.

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით შეერთებული შტატების მიერ ისლანდიის ოკუპაციას ა. შ. შტატებში განიხილავენ როგორც ისეთ ნაბიჯს, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე დღემდე მიღებული რომელიმე სხვა ღონისძიება, ა. შ. შტატებს აახლოვებს საზღვაო მინისტრ ნოქსის იმ მოთხოვნის განხორციელებასთან, რომ ამერიკის ფლოტი გამოყენებულ იქნას ზღვების გასაწმენდად გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და რეიდერებისაგან. სენატორმა პეპერმა, ისლანდიაში ამერიკის ჯარების გაგზავნა რომ შეიტყო, განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ მოვახდინოთ აზორის კუნძულების, მწვანე კონცხის კუნძულებისა და მადეირას ოკუპაცია, თუ პრეზიდენტი ცხადად მიიჩნევს, რომ ჰიტლერს განზრახვა აქვს დაიპყროს ისინი, ვინაიდან ვიცით, რომ იგი მათ მხოლოდ აგრესიული მიზნებით დაიპყრობს".

...პოლიტიკური მიმომხილველები სთვლიან, რომ, თუ გერმანელები შეეცდებიან ისლანდიისაკენ მიმავალი საზღვაო გზების ბლოკირებას, შეტაკება გერმანიისა და ამერიკის სამხედრო-ს... შორის გარდუვალ...

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 6 ივლისს ღამით ინგლისის ყუმბარმშენავი დიდი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიას და ჩრდილოეთ-დასავლეთ საფრანგეთს. გერმანიაში კვლავ გააფთრებით იქნა ბომბარდირებული სხვადასხვა ობიექტი მიუნსტერში, სადაც ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. მრავალი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა დაუყარეთ აგრეთვე რურისა და რაინის ოლქების სხვადასხვა რაიონს, კერძოდ დორტმუნდს. ნაკლები მასშტაბის იერიშები მიიტანეს დიუსელდორფზე, კელნზე, ემდენის ნავსადგურზე და როტერდამის დოკებზე. ჩრდილოეთ-დასავლეთ საფრანგეთში გააფთრებით იქნა ბომბარდირებული ბრესტის სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნად დაზიანდა.

გუშინ დღისით ინგლისის მძიმე ყუმბარმშენები, რომლებიც აიაგამანადგურებელთა თანხლებით მოქმედებდნენ, ...

...ნას, ელექტროსადგურსა და ქიმიურ ქარხანას ბეტიუნის მახლობლად. ორივე ობიექტი მძლავრი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარებით დაზიანებულ იქნა. ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 ავიაგამანადგურებელი.

ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე მოწინააღმდეგის 8 გემისაგან შემდგარი ქარავანი, რომელიც ჰოლანდიის სანაპიროს მახლობლად ძლიერი ბადრაგის თანხლებით მიდიოდა. ყუმბარებით დაზიანებულ იქნა 6 გემი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, 7 ივლისს ღამით ინგლისის ყუმბარმშენები ინტენსიურად დაესხნენ თავს დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ ქალაქს. იმავე ღამეს მტრის თვითმფრინავებმა ინტენსიური თავდასხმა მოახდინეს ინგლისის სამხრეთ სანაპიროს ერთ-ერთ ქალაქზე. მოსახლეობაში არის რამდენიმე მოკლული, დაზიანებულია საქმიანი უბნები და საცხოვრებელი სახლები. 7 ივლისს ღამით ინგლისში მომხდარი საჰაერო ბრძოლის ...

ინგლისის პრესა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შესახებ

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთ „სანდი ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: „არის იმის ნამდვილი ნიშნები, რომ რუსებს ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ ბრძოლაში თავიანთი საუკეთესო ჯარები. საბჭოთა ავიაცია წარმატებით მოქმედებს. რუსები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან თავიანთი უახლესი ავიაგამანადგურებლებით, რომლებიც მათი აზრით, გერმანულ „მესერშმიდტებს“ არ ჩამოუვარდებიან. რუსებს უთვალავი სატანკო ძალები მოეპოვებათ. საბჭოთა რკინიგზები სანაქებო სიზუსტით მუშაობენ და განუწყვეტელ ნაკადად აწვდიან ფრონტს საომარ მასალას. საბჭოთა არმიები დარწმუნებული არიან იმ მასალის კარგ ხარისხში, რომლითაც მათ ამარაგებენ.

გაზეთ „ობსერვერის“ რედაქტორ ჰარვინის მიერ დაწერილი მოწინავე წერილის ძირითად მოტივს წარმოადგენს იმ წინააღმდეგობით აღფრთოვანება, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს მტერს. ჰარვინი სწერს: „აღმოსავლეთ ევროპაში წარმოებული უმაგალითო ბრძოლა ისევე დიდია, როგორც მისი ტერიტორია და გაფთრებულობა. გერმანელები ოდნავაც ვერ მიუახლოვდნენ თავიანთ მიზანს. რუსეთის არმიები და ხალხი განსაცვიფრებელ წინააღმდეგობას უწევენ არა მარტო ისტორიული შეუპოვრობისა და სიკვდილისადმი უშიშრობის მეოხებით, არამედ თანამედროვე ომის მეთოდების დაუფლების მეოხებითაც რუსების წინააღმდეგობა მტრის მხრივაც კი განცვიფრებასა და პატივისცემას იწვევს. გერმანელები ფრონტზე დღითი-დღე ახალ ძალებს ჰგზავნიან. რუსებს გერმანელებზე ნაკლებ როდი ესმით მექანიზებული ომის თანამედროვე პირობები. საბჭოთა ავიაციას და ტანკებს მტრისათვის სიკვდილი მოაქვთ, თუმცა ქაღალდზე ეს ავიაცია და ტანკები სავსებით მოსპო გერმანიის სამხედრო სარდლობამ, რომლის მტკიცება მთელს მსოფლიოში დაცინვას იწვევს“.

ჰარვინი ეხება საომარი მოქმედების მიმდინარეობას და განაგრძობს: „უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ნაციონალ-სოციალისტები იძულებული გახდნენ ბევრი რამ გაეგოთ რუსების სიმამაცისა და შეუპოვრობის შესახებ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ საკმაოდ მოუხდებათ რუსი ხალხის სიმტკიცისა და რესურსების გამოცდა საკუთარ კისერზე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად წარმოებულ ბრძოლას პრეცედენტი არა აქვს მსოფლიო ისტორიაში, ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მომავალ კვირებში, ან თვეებში ეს ბრძოლა საგრძნობლად გადააჭარბებს ყოველივე იმას, რისი მოწმენიც დღემდე ვიყავით“.

გაზეთი „სანდი პიქტორიელი“ სწერს: „რუსეთის თავდაცვის ძირითადი ძალები ბრძოლას მხოლოდ ახლა იწყებენ. რუსეთის სიმაგრეების მთავარი სისტემა ხელუხლებელი რჩება. გერმანელებმა უკვე დაჰკარგეს იმაზე მეტი, რაც ამ ომის ყველა წინანდელი კამპანიის დროს დაჰკარგეს. დაკავებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობა არა მარტო არ ემორჩილება ნაცისტებს, არამედ ფანატიკური გაფთრებით ეწევა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. გერმანელებს სავსებით ჩაეშალათ ცდა—რაიმე გზით დაერღვიათ რუსეთის სამხედრო მრეწველობის მუშაობა. რუსეთში მიყენებული ზარალი რომ აინაზღაუროს, ჰიტლერს სხვა ტერიტორიებიდან მოჰყავს ჯარი. გებელსი გერმანელ ხალხს არასასიამოვნო ამბებისათვის ამზადებს. სსრ კავშირი ახლა კიდევ უფრო უკეთ არის ორგანიზებული, ვიდრე ომის დასაწყისში“.

ავღანეთის მეფის განცხადება

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ-შაჰმა ავღანეთის პარლამენტის სესიის გახსნისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანეთს გადაწყვეტილი აქვს აბსოლუტური ნეიტრალიტეტი დაიცვას ახლანდელი ომის დროს.

ფაშისტთა ოინების ჩაშლა ნორვეგიაში

ლონდონი, 5 ივლისი (საკდესი). 4 ივლისს ოსლოში შესდგა მორიგი მიტინგი, რომელიც „ნორვეგიის ლეგიონის“ შექმნას მიეძღვნა. მაგრამ დასახული საზეიმო პროგრამა ამჯერადაც ჩაიშალა. უნივერსიტეტის შენობის წინ, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ნორვეგიის ფაშისტთა მეთაურმა კვისლინგმა დამსწრეთ მოუწოდა „ლეგიონში“ ჩაწერილიყვნენ, რის პასუხადაც ატყდა სტვენა, ლანძღვა-გინება, გაისმა შეძახილები: „ძირს ჯაშუში კვისლინგი!“ და სხვ. უკვე ერთი კვირაა, რაც გერმანელი და ნორვეგიელი ფაშისტური გაზეთები გაჰკივიან, რომ „ფინეთში ნორვეგიის დასაცავად“ შეიქმნა ყბადაღებული „ნორვეგიის ლეგიონი“. მაგრამ ათობით დეკლარაციისა და მოწოდების მიუხედავად, ფაშისტებმა შესძლეს მიეზიდნათ „ლეგიონში“ მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი იოლი გამორჩომის მოყვარულთა და კვისლინგის „რაზმელთაგან“. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნამდვილ განწყობილებას გვიხატავენ შემდეგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ოკუპანტები ძლივს-ძლივობით ახერხებენ ნორვეგიის „დაცვას“ ნორვეგიაშივე. ამ ქვეყნის ზოგიერთ ოლქში, განსაკუთრებით ჩრდილოეთით, გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ნამდვილი პარტიზანული ომია გამართული და საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ნორვეგიელები თავს ესხმიან გერმანიის შეიარაღებულ რაზმებს.

თუ კვისლინგის „ლეგიონში“ ვერ მოხერხდა ასობით ადამიანების მიზიდვა, სამაგიეროდ სულ უფრო-და-უფრო იზრდება სტიქიური მოძრაობა ოკუპანტთა წინააღმდეგ. უკანასკნელ დღეებში ასობით ნორვეგიელი გაემგზავრა ნორვეგიიდან, რათა მონაწილეობა მიიღონ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ესპანეთში ჩაიშალა სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად „მოხალისეთა“ შეგროვება

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს, რომ ესპანელმა ფალანგისტებმა საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ რესპუბლიკელთა შორის დაიწყეს „მოხალისეთა“ შეგროვება სსრ კავშირის საწინააღმდეგო ომში გასაგზავნად. შეგროვებას დამშევის მუქარით ეწეოდნენ. ეს წამოწყება მთლიანად ჩაიფუშა. ალხესირასისა და ლინეას რაიონში 25-დან 30 ივნისამდე მხოლოდ რამდენიმე კაცი მოაგროვეს.

კრახით დამთავრდა ცდა შეექმნათ ფრანგ „მოხალისეთა კორპუსი“ სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, რომ სრული მარცხით დამთავრდა ცდა შეექმნათ ფრანგ „მოხალისეთა კორპუსი“ გერმანელებთან ერთად სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად იმის გამო, რომ ფრანგ მოსახლეობაში არავის სურს იბრძოლოს სსრ კავშირის წინააღმდეგ.

გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ გერმანიის ჯარის ზურგში პარტიზანული რაზმების მოქმედების შესახებ

სტოკჰოლმი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტი კრუზენშერნი სწერს: „თუმცა ზოგიერთ რაიონში ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ რუსეთის ბევრ ჯარის ჯგუფს ჯერ იარაღი არ დაუყრია და მრავალ ადგილას მოქმედებს. გერმანულ მეორე ხაზის დივიზიებს ისევე გაფთრებით უხდება ბრძოლა წითელი არმიის ცალკეულ ნაწილებთან, როგორც ძირითადი ბრძოლის დროს. მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ აქ შეუძლებელია ლაპარაკი ფრონტის ერთ შეკრულ ხაზზე.

პირველმა ხაზმა წინ წაიწია, მაგრამ მეორემ ხელახლად უნდა დაიწყოს ბრძოლა. ამრიგად ბრძოლაა არა ფრონტის იმ ხაზზე, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ დიდი სიღრმის ტერიტორიაზე.

ფინელი ხალხი სსრ კავშირთან ომის წინააღმდეგია

სტოკჰოლმი, 7 ივლისი (საკდესი). შვეციის გაზეთი „არბეტარენი“ სწერს, რომ ფინელი ხალხი არავითარ საომარ ენტუზიაზმს არ იჩენს. გაზეთი ადასტურებს, რომ მობილიზაციის პირველსავე დღეებში გაწვეულ რეზერვისტთა დეზერტირობის მასობრივი შემთხვევები იყო. პოლიციელები იძულებული იყვნენ დაეკავებინათ მანქანები, რათა შოფერებისათვის სამობილიზაციო ფურცლები ჩაებარებინათ.

ფინეთიდან ამ დღეებში ჩამოსული პირები გადმოგვცემენ, რომ ფინეთის არმიაში დეზერტირობამ საშიში ხასიათი მიიღო. ხელისუფალნი იძულებული გახდნენ სპეციალური განკარგულება გაეცათ დეზერტირთა მოძებნისა და იმ პირთა წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიული ზომების მიღების შესახებ, რომლებმაც თავი აარიდეს გამწვევ პუნქტებზე გამოცხადებას. ფინეთის პრესა მწუხარებით აღნიშნავს სამხედრო საიდუმლოების მასობრივი გამჟღავნების ფაქტს. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ მეეზოვეები და პოლიციელები გასაწევით წინასწარ აძლევდნენ ცნობებს მომავალი მობილიზაციის შესახებ.

ჰელსინკიდან მიღებული ცნობებით, გერმანელ-ფინელი ჯარის მოსამარაგებლი სურსათის იძულებითმა რეკვიზიციამ უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ვიცით, ფინელ მმართველთა ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც მათ ფაშისტური გერმანიის წინაშე იკისრეს, არის ფინეთის მიერ გერმანიის ჯარის მომარაგება მთელი საჭირო სურსათით.

ჰიტლერელმა მაროდიორებმა უკვე დაიწყეს ფინეთის მცირედი სასურსათო მარაგის ორგანიზებული ძარცვა. მოსახლეობას სძულს ჰიტლერელი ბატონები, რომელნიც ფინეთში დათარეშობენ. გერმანელ და ფინელ ჯარისკაცებს ხშირად მოსდით შეტაკება იმის გამო, რომ გერმანელი ჯარისკაცის მომარაგება, მაგალითად, ფინელი ოფიცრისას უდრის.

ფინეთიდან მოდის ცნობები, რომ იქ გრძელდება საბჭოთა კავშირთან სოლიდარულად განწყობილ პირთა მასობრივი დაპატიმრება. გერმანელების წინააღმდეგ მშრომელ ფინელთა ბრძოლა უფრო და უფრო აქტიური ხდება. ფინელი გლეხები ცეცხლს უკიდებენ ტყეებს, რითაც ხელს უშლიან გერმანიის ჯარის შეტევას საბჭოთა კარელიის წინააღმდეგ. არის იმის ფაქტები, რომ ტელეგრაფისა და ტელეფონის კაბელებს აფუჭებენ.

იტალიელი ჟურნალისტის ძალაუნებური აღიარება

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რომაელი კორესპონდენტის გადმოცემით, იტალიელი ჟურნალისტი მალაპარტე გაზეთ „კორიერე დელა სერაში“ დაბეჭდილი სტატიით გადმოგვცემს, რომ 27 ივნისს ქალაქ იასში (რუმინეთი) დაიწყო რუმინეთის მოსახლეობის აჯანყება, რაც 3 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, და რომ ეს აჯანყება ქალაქის სხვადასხვა რაიონს მოედო. მალაპარტე აღნიშნავს, რომ გაფთრებული ბრძოლა სწარმოებდა ყველა ქუჩაში თითქმის ყოველ სახლთან. ბრძოლა რკინიგზის სახელოსნოების მახლობლად დაიწყო. 27 ივნისს ღამით, — განაგრძობს კორესპონდენტი, მთელს ქალაქში თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა ისმოდა. მალაპარტე აცხადებს, რომ აჯანყება „სისხლში ჩაახრჩეს“, მაგრამ აღიარებს, რომ „ქუჩების გზაჯვარედინებზე მდგომი შეიარაღებული ჟანდარმები მუდამ აქეთ-იქით იყურებიან, რადგან ყოველ წუთს ეშინიათ, რომ ზურგში ტყვია არ მოარტყან“.

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 6 ივლისს ღამით ინგლისის ავიაციის თვითმფრინავები ინტენსიურად დაესხნენ თავს ბრესტის საზღვაო ბაზის დოკებს საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში, აგრეთვე გერმანიის ქალაქებს მიუნსტერსა და დორტმუნდს. ამ ოპერაციის დროს ინგლისის ავიაციამ 6 ყუმბარმშენი დაჰკარგა.

7 ივლისის ღამის განმავლობაში გერმანიის ავიაციის მოქმედება ინგლისში სანაპირო რაიონებით განისაზღვრებოდა. ყუმბარები ჩამოჰყარეს აღმოსავლეთ ინგლისში და ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ზოგიერთ პუნქტში. მოსახლეობაში მსხვერპლი ცოტაა. მატერიალური ზარალი დიდი არ არის. ღამის განმავლობაში მოსპობილია მტრის 3 თვითმფრინავი.

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ სტალინის გამოსვლაზე რადიოთი

სტამბოლი, 6 ივლისი (საკდესი). გაზეთებმა — „ვაკიტმა“, „ენი საბახმა“, „ტასვირი ეფქიარმა“ მოათავსეს ამხანაგ სტალინის რადიოთი გამოსვლის სრული ტექსტი.

„ტასვირი ეფქიარი“ სტალინის სიტყვას ეხება და აღნიშნავს, რომ საბჭოთა არმია კვლავ მედგარ წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს იმ მიზნით, რომ გასტეხოს მათი შეტევა. უეჭველია, საბჭოთა ხალხი მტკიცედ იბრძოლებს საბოლოო გამარჯვებამდე. გაზეთი აღნიშნავს: განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სტალინის გამოსვლის იმ ნაწილს, სადაც იგი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი აწარმოებს სამამულო ომს, რომელიც ამავე დროს არის ომი გერმანიის მიერ დამონებულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

შანხაი, 6 ივლისი (საკდესი). ჩინეთის უდიდესმა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსეს ამხანაგ სტალინის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის სრული ტექსტი. გაზეთები ამ გამოსვლას უძღვნიან მოწინავე სტატიებს, ახასიათებენ მას როგორც სიმართლის შემცველ, მიზანსწრაფულ სიტყვას, რომელიც გვარწმუნებს, რომ ფაშიზმი განადგურებული იქნება.

„ნორტ ჩაინა დეილი ნიუსი“ სწერს: „სტალინის სიტყვაში ნაჩვენებია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. სტალინს არაფერი არ დაუმალავს. ეს სიტყვა, რომელიც სიმართლის ნიმუშს წარმოადგენს, მთელს მსოფლიოს უჩვენებს, რომ რუს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე იბრძოლოს. ხალხის ხელმძღვანელი, რომელიც ასე ლაპარაკობს, მთელი მსოფლიოს პატივისცემის ღირსია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობები სიმართლეს ასახავენ, მაშინ როდესაც გერმანიის ოფიციალური განცხადებანი არასოდეს არ შეესაბამება სინამდვილეს“.

„ჩაინა პრესი“ ხაზგასმით აღნიშნავს: „ეჭვი არ გვეპარება, რომ ბრძოლის შედეგი საკეთილო იქნება საბჭოთა კავშირისათვის“. „შენჯოუჯიბაო“ მოწინავე სტატიაში აცხადებს: „სტალინის სიტყვა გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებითა და მზადყოფნით ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს გამარჯვების მისაღწევად. საბჭოთა კავშირმა გადასწყვიტა ჰიტლერთან ბრძოლაში გამოიყენოს იგივე მეთოდები, რომლებიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო გამოყენებული. ამგვარად, პერსპექტივები სრულიადაც არ არის ოპტიმისტური ნაცისტებისათვის. ჰიტლერს დაავიწყდა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია 20 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღემატება, მისი მოსახლეობა 200 მილიონ კაცს უდრის და რომ წითელი არმია ძლიერია. ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირთან ომი ძალიან სახიფათოა. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მტკიცე გადაწყვეტილება იომონ გამარჯვებამდე. ამ თვალსაზრისით სტალინის სიტყვას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაამარცხებს ნაციზმს, აღადგენს ევროპის იმ ხალხთა თავისუფლებას, რომლებიც გერმანიის სამხედრო ხროვის რკინის ქუსლით არიან გათელილი“.

სტოკჰოლმი, 6 ივლისი (საკდესი). შვეციის პრესა კვლავ გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს ამხანაგ სტალინის გამოსვლას რადიოთი. პროვინციული გაზეთები სპეციალურ სტატიებს უძღვნიან ამხანაგ სტალინის გამოსვლას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამხანაგ სტალინის სიტყვას უდიდესი სიმპატიით შეხვდნენ შვეციის ხალხის ფართო ფენები. „სტალინის სიტყვის რეალიზმმა, — სწერს „პეტებორგს ჰანდელს ტიდნინგი“, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი რუსი ხალხის პატრიოტიზმისადმი სტალინის დიდი რწმენის ნიშნად მიგვაჩნია. მას არ შეუძლია ოდნავი ეჭვიც კი შეიტანოს რუსების საუცხოო მორალურ მდგომარეობაში“.

სტამბოლი, 6 ივლისი (საკდესი). იმის მიუხედავად, რომ საბერძნეთში ფაშისტ დამპყრობელთა ცენზურა ყოველგვარ დაბრკოლებას ჰქმნის, ამხანაგ სტალინის სიტყვა ბერძენი ხალხის ფართო მასებს მისწვდა. ამ სიტყვას გაცხოველებით იხილავენ ათენსა, სალონიკსა და საბერძნეთის სხვა ქალაქებში. ფართოდ გავრცელდა სპეციალურად გამოცემული არალეგალური ფურცელი, რომელიც მოუწოდებს ბერძენ ხალხს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

„სტალინის მოწოდება, — ნათქვამია ფურცელში, — მიმართულია არა მარტო თავისუფალი საბჭოთა ხალხისადმი, იგი აგრეთვე მიმართულია ფრანგებისადმი, ნორვეგიელებისადმი, დანიელებისადმი, ჰოლანდიელებისადმი, ჩეხებისადმი, პოლონელებისადმი, სერბიელებისადმი, ჩვენდამი — ბერძნებისადმი, ყველა იმ ხალხისადმი, რომლებიც გერმანელ დამპყრობელთა უღელქვეშ ჰგმინავენ. საბჭოთა ხალხთან ერთად, რომელიც დიდ სამამულო ომს აწარმოებს, ამ ქვეყნების ხალხები სალთო ომს გააჩაღებენ თავიანთი ბედნიერებისათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის. ფაშიზმის წინააღმდეგ ომის საბრძოლო პროგრამა, რაც სტალინმა თავის სიტყვაში დასახა, ჩვენი საბრძოლო პროგრამა უნდა გახდეს. აუტანელი პირობები შევუქმნათ მტერს, ყველა მის ხელშემწყობს, აღმოვაჩინოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება, თავისუფლება მოვიპოვოთ საბერძნეთს, მოვსპოთ ფაშისტი მოძალადეები!“

სტოკჰოლმი, 6 ივლისი (საკდესი). როგორც ოსლოდან იუწყებიან, ნორვეგიის საიდუმლო რადიოსადგურმა — „თავისუფლების რადიომ“ გადასცა ამხანაგ სტალინის მიერ რადიოთი წარმოთქმული სიტყვის ამონაწერები. ათასობით ნორვეგიელმა მოისმინა გადაცემა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ნორვეგიის ხალხმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოს საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას აწარმოებენ ყველა ხალხის უბოროტესი მტრის — გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

სტალინის სიტყვამ ახალი ძალა შემატა არალეგალურად მებრძოლ ნორვეგიელ პატრიოტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან სსრ კავშირის ხალხებთან ერთად მხარდამხარ იბრძოლონ ფაშიზმის მოსასპობად. ნორვეგიელი ხალხის მასების ამ განწყობილებას უპირისპირებენ კვისლინგელი არამზადების წამოწყების სამარცხვინო ჩაშლას, რომლებიც ამაოდ ცდილობენ მოხალისეთა რაზმების შექმნას სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სტოკჰოლმი, 7 ივლისი (საკდესი). ფინეთის სხვადასხვა ადგილიდან აქ ჩამოსული ფინელები და შვედები ამბობენ, რომ ამხანაგ სტალინის მიერ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას მოსახლეობის ფართო წრეები გაეცნენ. მრავალი ფინელი პატრიოტი სავსებით იზიარებს სტალინის მიერ გამოთქმულ აზრს. სტალინის სიტყვამ გააძლიერა ფინელი მოსახლეობის ისედაც მტრული დამოკიდებულება გერმანელი ოკუპანტებისადმი, რომელთაც ფინეთში თავი სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნიათ და თავხედურად და გამომწვევად იქცევიან. ჟურნალისტთა წრეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წერილმა, რომელიც შვეციაში გახიზნულმა ერთმა ფინელმა ქალმა მიიღო თავისი ქმრისაგან; ეს ქმარი კანტორის მუშაკად იყო რკინიგზაზე ტურკუში. აი რა სწერია წერილში:

„მეთორმეტე დღეა არმიაში ვარ. როგორც ამბობენ, მალე ფრონტზე გაგვგზავნიან. ჩვენ ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს: რა ჯანდაბად გვინდა ეს ომი, რა უნდა მოგვცეს მან? გერმანელები სრული ბატონ-პატრონი გახდნენ ჩვენში. სწორედ ისინი გვერეკებიან ფრონტისაკენ, რათა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჰიტლერი მსოფლიოს მბრძანებელი გახდეს. მაგრამ არც მე და არც სხვა ფინელები არ ვაპირებთ თავი დავდოთ გერმანელი ფაშისტების ინტერესებისათვის, მათი წყეული ფიურერისათვის. თვითონ იბრძოლონ, მე უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო ფრონტისათვის. გუშინ ვნახეთ ირიე ჰაკალაინენი. მან რადიოთი მოისმინა სტალინის სიტყვა და იმისიც კი არ შეშინებია, რომ თითქმის მთლად ჩაეწერა. ჩვენ სულითა და გულით გავიზიარეთ სტალინის თვითეული სიტყვა. აი რუსები იბრძვიან გაფთრებით. ჩვენ, ყველანი, ვინც ვიცით, თუ რა სთქვა სტალინმა, ვფიქრობთ, რომ რუსები იბრძვიან არა მარტო თავიანთი სამშობლოსათვის, არამედ ჩვენთვის — ფინელებისთვისაც, ნორვეგიელებისთვისაც, დანიელებისთვისაც — ყველა ხალხისათვის, რომელთა თავისუფლებაც ფეხით გათელეს ფაშისტებმა. სულითა და გულით ვუსურვებ გამარჯვებას წითელ არმიას. სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ფაშისტ ღორებს. ჩვენს ტანჯვა-წამებას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო. ამას მარტო მე როდი ვფიქრობ, ბევრი ფიქრობს ასე. ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის სულისკვეთება. ტყუილად როდი ჩამოჰყარეს ყურები მუცლორელებმა და ლაპუასელმა ყასბებმა. მათ მიგვყიდეს გერმანელ ფაშისტებს, ახლა კი თვალი ველარ გაუსწორებიათ ხალხისათვის. მალე, მალე დადგება სამაგიეროს გადახდის ჟამი“.

ლონდონი, 7 ივლისი (საკდესი). ლონდონის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს სტალინის მიერ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვას. ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტი ჰარვინი გაზეთ „ობსერვერში“ სწერს: სტალინის სიტყვა თავდაცვისაკენ მოუწოდებს უმაგალითო ენერგიითა და გაბედულებით. სტალინი არ ცდილობს რისამე მნიშვნელობა მცირედ მოგვაჩვენოს. იგი სავსებით სწორად ამბობს, რომ საბჭოთა არმიების ყველა ძალები მხოლოდ ამჟამად ირაზმება და იწყებს ბრძოლას. სტალინი მოუწოდებს დღედაღამ მაქსიმალურად გაადიდეთ საომარი მასალის წარმოებაო. იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ თავდამსხმელები კიდევ უფრო გამწყვეტ წინააღმდეგობას წააწყდებიან. სტალინის სიტყვამ ისე შეაძრწუნა თვითონ ნაცისტები, როგორადაც ვერაფერს შეეძლო მათი შეძრწუნება.

დასასრულ ჰარვინი სწერს: „ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არა ნიშნავს იმას, რომ ინგლისელი ხალხისათვის საჭირო აღარ არის გააფართოვოს და გააძლიეროს თავისი მოქმედება უახლოეს თვეების განმავლობაში. ჩვენ საკუთარი უშიშროებისათვის მოვალენი ვართ დახმარება აღმოვუჩინოთ რუს ხალხს ყოველი იმ საშუალებით, რაც კი მოგვეპოვება. ისევე როგორც რუსი ხალხი, ჩვენ მოვალენი ვართ წინათ არნახული რაოდენობით ვამზადოთ საომარი მასალა“.

სტამბოლი, 7 ივლისი (საკდესი). თურქული გაზეთი „ტანი“ მოწინავე წერილში კომენტარს უკეთებს ამხანაგ სტალინის გამოსვლას რადიოთი და სწერს, რომ ეს გამოსვლა უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. სტალინის სიტყვა, — აღნიშნავს გაზეთი,—მეტად რეალისტური იყო. სტალინს არ დაუფარავს, რომ გერმანიის არმიას ერთგვარი წარმატება აქვს, მაგრამ ეს არმია დამარცხებული იქნება ისევე, როგორც დამარცხდა ნაპოლეონის არმია. რაც უფრო დაშორდება გერმანიის არმია თავის ბაზებს, მით უფრო გაუძნელდება ბენზინისა და სურსათის შოვნა და გზების გამოყენება. იგი დასუსტდება და მისი პირველი წარმატება დამარცხებად იქცევა. თუ ომი გაგრძელდა, გერმანია თავის გზაზე შეხვდება უდაბნოებს. ამიტომ აღნიშნავს რა საფრთხეს, სტალინი ამავე დროს მოკლებულია პესიმიზმს. იგი მოუწოდებს ხალხს დაამზადოს მეტი ტანკები, ზარბაზნები, თვითმფრინავები.

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს, რომ ამხანაგ სტალინის გამოსვლამ რადიოთი ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ჩილის ხალხში. მრავალი ორგანიზაცია ფართო კამპანიას ამზადებს საბჭოთა კავშირის მატერიალური და მორალური დახმარებისათვის. გაზეთი „ელ სიგლო სტალიე“ სათაურით: „მსოფლიოს ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ“ გაერთიანებული კამპანიისაკენ მოუწოდებს საბჭოთა კავშირის დასახმარებლად. გაზეთი სწერს: სსრ კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა სწრაფად ვრცელდება ქალაქებსა და სოფლებში, ფერმებსა და ფაბრიკებშიო.

სტამბოლი, 7 ივლისი (საკდესი). როგორც ერთერთი უცხოელი კორესპონდენტი იუწყება, მას უსაუბრნია ამერიკელ მოქალაქესთან, რომელსაც ზაგრები დაუტოვებია 4 ივლისს. კორესპონდენტთან საუბარში ამერიკელმა განაცხადა: სტალინის სიტყვა, უსტაშების (ხორვატი ფაშისტები) მიერ მიღებული მკაცრი ზომების მიუხედავად, 3 ივლისის საღამოსვე ცნობილი გახდა ათასობით ხალხისათვის. სტალინის სიტყვა, განსაკუთრებით მისი სიტყვები, რომ წითელი არმია ფაშისტებისაგან იცავს არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ ევროპის ყველა ხალხს, რომლებიც ფაშიზმმა დაიმონა, სწრაფად გავრცელდა სოფლებსა და ქალაქებში და მთელს ხორვატიაში.

ხორვატებს სძულთ ოკუპანტები და მათი ლაქიები — უსტაშები. რაკი იცოდნენ, რომ მე ამერიკელი ვიყავი, — განაგრძობდა ამერიკელი,—ხორვატები გულახდილად გამოსთქვამდნენ თავიანთ აზრს. იმათი უმრავლესობა, ვისაც მე ვესაუბრე, აღტაცებულია სტალინის სიმტკიცით. სტალინი, —აცხადებდნენ ჩემი თანამოსაუბრენი, — მართალია. ჰიტლერს უნდა ვებრძოლოთ ყველა საშუალებით. ბოსნიისა და დალმაციის მთებში ბევრი პარტიზანი გვყავს და მათი რიცხვი სულ უფრო-და-უფრო იმატებს. ჩვენ, ხორვატები, საბჭოთა ხალხს შევუერთდებით და ფაშისტებს გავანადგურებთ.

კორესპონდენტის შეკითხვას, თუ როგორ მიმდინარეობს აღმოსავლეთის ფრონტზე გასაგზავნად უსტაშების კორპუსის შედგენა, ამერიკელმა უპასუხა: „მას შემდეგ, რაც გამოხმაურება ვერ ჰპოვა პაველიჩის მოწოდებამ—საექსპედიციო კორპუსში ჩაეწერეთ წითელ არმიასთან საბრძოლველადო, უსტაშების ორგანიზაცია იძულებითს ჩაწერას შეუდგა. თქვენთვის გასაგებია, — განაცხადა ამერიკელმა, — თუ როგორ იბრძოლებენ ძალით გაგზავნილი ხორვატები“.

სტოკჰოლმი, 7 ივლისი (საკდესი). ამხანაგ სტალინის სიტყვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დანიის მოსახლეობის ყველა ფენაში.

კოპენჰაგენიდან მალმს (სამხრეთი შვეცია) ჩამოსული დანიელები ამბობენ, რომ დანიის ათიათასობით მცხოვრებნი ისმენდნენ რადიოგადმოცემას ლონდონიდან დანიურ ენაზე, რაც მიძღვნილი იყო სტალინის სიტყვისადმი. აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ფართო ფენები სოლიდარობას გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

კოპენჰაგენში ფართოდ ავრცელებდნენ ფურცლებს შემდეგი სათაურით: „წითელი არმია გაიმარჯვებს“; ამ ფურცლებში მოკლედ არის გადმოცემული სტალინის გამოსვლა რადიოთი. როგორც გადმოგვცემენ, კოპენჰაგენში დააპატიმრეს 2 გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაც ასეთი ფურცლები უპოვნეს.

ჩქაროსან ყუმბარმშენთა რეიდი

კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). მდინარე ნ-ის რაიონში მტერი დიდ მოტომექანიზებულ ძალებს, არტილერიასა და ქვეითს ჯარს აგროვებდა. იმისათვის, რომ ჩაგვეშალა სტრატეგიული გეგმა ფაშისტთა სარდლობისა, რომელიც შემოტევითი ოპერაციებისათვის ემზადებოდა, საჭირო იყო საბჭოთა ავიაციის მოულოდნელი ჩარევა.

...ჩქაროსან ყუმბარმშენთა მებრძოლი ხუთეული ჰაერში აფრინდა. კაპიტანი ეგოროვი, უფროსი პოლიტხელი მოკეიკო, ორგზის ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი კონდრაშოვი, კაპიტანი პარხომენკო და ლეიტენანტი შუროვი მაღლა ავიდნენ და თავისი მანქანები ნაჩვენები კურსით წაიყვანეს.

აი, ფრონტის ხაზიც. უკვე ნათლად სჩანან მტრის პოზიციები და სასროლო წერტილები. მტრის საზენიტო ბატარეები გრიგალისებრ გადამღობ სროლას იწყებენ. ყუმბარები მანქანების მახლობლად სკდება, მაგრამ საბჭოთა ყუმბარმშენების უდიდესი სისწრაფე და მაღალი მანევრულობა მათ უვნებელს ხდის. თვითმფრინავები დასამიზნებლად ემზადებიან. საზენიტო ბატარეები კიდევ უფრო ინტენსიურად ისვრიან. თვითმფრინავებიდან მოსჩანს პატარა დაკლაკნილი მდინარე, რომლის მახლობლად, ტყესა და პატარა ბუჩქნარს ამოფარებულნი, განლაგებულან მტრის ტანკები, ქვეითი ჯარი და არტილერია.

ყუმბარების დასაშვებად გაანგარიშება უკვე მოხდა. სწრაფად მართავს თავის საბრძოლო მანქანას უფროსი ლეიტენანტი კონდრაშოვი. „წითელი დროშის“ 2 საბრძოლო ორდენი, რომლებითაც აღნიშნულია მისი გმირობა საბჭოთა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, — მის მაღალ ოსტატობას მოწმობს. გულდაჯერებით და მტკიცედ უჭირავს მას ჩქაროსანი მანქანის შტურვალი. შტურმანმა ლეიტენანტმა რაზუმოვსკიმ ზუსტი გაანგარიშება მოახდინა. ფლაგმანის სიგნალისთანავე მან ხელი დააჭირა ღილს და დიდრონი ყუმბარები ძირს დაეშვნენ. ყუმბარმშენთა მამაცი ხუთეული ტონობით სასიკვდილო ლითონს აყრის მტრებს. საზენიტო ცეცხლი სუსტდება და, ბოლოს, სავსებით სწყდება. ზემოდან გარკვეულად მოსჩანს, რომ ყუმბარები მიზანს ხვდება.

ყუმბარმშენებმა ამოცანა შეასრულეს; მათ უდიდესი ზარალი მიაყენეს მტრის მატერიალურ ნაწილს და ცოცხალ ძალას, რის შემდეგ კვლავ დაეწყვნენ და უკან გამობრუნდნენ.

ფაშისტთა თვითმფრინავი თოფით ჩამოაგდეს

მოქმედი არმია, 7 ივლისი (საკდესი). № პოლკის ბატარეა ახალ ცეცხლის პოზიციებზე გადავიდა. უმცროს სერჟანტებს—ამხ. ბრეევსა და პოპეიკოს, ეფრეიტორებს — ტერეშენკოსა და კაჩაევს დაევალათ ტელეფონის კავშირგაბმულობა მოეწყოთ. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ დავალების შესრულებას.

მოულოდნელად ჰაერში გამოჩნდა მტრის 2 თვითმფრინავი. ფაშისტთა თვითმფრინავებმა დაბლა ფრენით დაუშინეს სერჟანტ ბრეევის ჯგუფს. მაგრამ მებრძოლნი არ დაბნეულან.

საფარში! დაუშინეთ შაშხანა!—უბრძანა ბრეევმა.

მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მფრინავი დაატყვევეს.

№ ავიანაწილის მფრინავთა საბრძოლო წარმატება

მოქმედი არმია, 7 ივლისი (საკდესი). ასრულებენ რა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მიცემულ ფიცს —დაუნდობლად ვურტყამთ მტერს მის სრულ განადგურებამდეო—ამხ. რუდაკოვის ქვედანაყოფის მფრინავებმა 3 ივლისს საბრძოლო მოქმედების ჟურნალში ჩასწერეს, რომ ამ დღეს ჩამოაგდეს მტრის კიდევ ორი თვითმფრინავი და ერთიც ტყვედ ჩაიგდეს.

მეორე დღეს—4 ივლისს—მტერთან საჰაერო ბრძოლაში მფრინავებმა მტრის კიდევ 3 თვითმფრინავი მოსპეს.

სულ საომარი მოქმედების დაწყებიდან ამხ. რუდაკოვის გმირულმა ქვედანაყოფმა მტრის 33 თვითმფრინავი ჩამოაგდო, ხოლო ერთი თვითმფრინავი აიძულა ჩვენს აეროდრომზე დაშვებულიყო.

მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდობა შრომის ფრონტზე. სამამულო ომში გამარჯვებისათვის

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს სახალხო განათლების ყველა მუშაკს, მასწავლებლებსა და უფროსი კლასის მოსწავლეებს, თავდადებულად იბრძოლონ მიმდინარე სამამულო ომში ჩვენი დიადი სამშობლოს გამარჯვებისათვის.

სკოლების, სამკითხველოების, საკოლმეურნეო კლუბების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ყველა ამ დაწესებულებებში უნდა გაჩაღდეს ფართო სააგიტაციო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა, რაშიაც მასწავლებლები აქტიურად უნდა ჩაებან.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის ბრძანების თანახმად, დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლების, პედაგოგიური და პოლიტიკური განათლების სასწავლებლების და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა მორიგი შვებულებები გაუქმებულია. შვებულებიდან სამსახურის ადგილზე გამოწვეული მასწავლებლები არდადეგების პერიოდში უნდა გაიგზავნონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების განკარგულებაში წარმოებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, მტს-ებში და სხვა სამუშაოზე მათი გამოყენების მიზნით. მასწავლებლებმა და განათლების სხვა მუშაკებმა არდადეგების პერიოდში შესაძლებლობის ფარგლებში ყველგან უნდა შესცვალონ ის მუშაკები, რომლებიც გაწვეული არიან წითელ არმიაში.

სახალხო განათლების რაიონულმა განყოფილებებმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მასწავლებლობასა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გასწიონ მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად—საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, მოსავლის აღებაში, ნათესების დამუშავებაში, ჩაის კრეფაში და სხვ.

მოსწავლეები შრომითი თავდადების მაგალითებს იძლევიან

დიადი საბჭოთა ქვეყნის მთელ მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა—ქალები და ვაჟები—სოციალისტური სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულითა და პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულნი, ამ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებისათვის შრომითი თავდადების ახალ-ახალ მაგალითებს იძლევიან.

ლანჩხუთის, თელავის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას და ქობულეთის რაიონებში საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებმა, შეადგინეს ბრიგადები და პრაქტიკულად ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში. ამ რაიონების მოსწავლე ახალგაზრდობის ეს შესანიშნავი ინიციატივა გამოხმაურებას პოულობს მთელს რესპუბლიკაში. ბევრგან მოსწავლე ახალგაზრდობის ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სკოლების დირექტორები, განათლების განყოფილებათა გამგეები და მასწავლებლები.

უახლოეს დღეებში ადგილებზე მოეწყობა უფროსი კლასების მოსწავლეთა შეკრებები, სადაც მათ გააცნობენ მოსწავლეთა მოწინავე ბრიგადების გამოცდილებას და მოამზადებენ მოსახლეობაში საჰაერო და ქიმიური თავდაცვის რაზმების ჩამოსაყალიბებლად.

დონორები

ვერაგი მტრის თავდასხმის პირველი დღიდანვე საქართველოს სსრ ჯანსახკომის თბილისის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ფართო მუშაობა გაიშალა. ინსტიტუტის მთელი შტატი განსაკუთრებული ენერგიითა და მონდომებით მუშაობს სისხლის მიღებასა და დაკონსერვებაზე. თბილისის მშრომელებმა იციან, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის გადასხმას დაჭრილ მებრძოლთა სიცოცხლის დაცვის საქმეში. ამიტომ არის, რომ ინსტიტუტის შენობა დილიდან საღამომდე სავსეა მუშა-მოსამსახურეებით, რომლებიც სიხარულითა და ენტუზიაზმით იძლევიან სისხლს მშობლიური წითელი არმიისათვის.

— ჰიტლერელი ბანდიტები ჩვენი ქვეყნის დამონებას ცდილობენ, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება,—ამბობს „სახელგამის“ მუშა ბ. გოგაძე.—წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს უსაზიზღრეს მტერს—გერმანელ ფაშისტებს. ახლა თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია თავისი სისხლიც სამშობლოს თავდაცვას მოახმაროს.—ექიმო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი სისხლი. ასეთი თხოვნით მიმართავენ ექიმებს თამარ მათიაშვილი, ე. ბურდული, ვ. კირაკიევა და მრავალი სხვა საბჭოთა პატრიოტი ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი.

საბჭოთა ხალხის უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება თავს იჩენს არა მარტო ფრონტზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე, დაზგებთან, მაღაროებში, არამედ აქაც, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის პალატებში. აქ მოდიან ცალ-ცალკე, ჯგუფებად და ყველას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს—რაც შეიძლება მალე გაუგზავნოს თავისი სისხლი გმირ მებრძოლებს, რომლებიც წარმშეუხრელად ღვრიან სისხლს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

სისხლის გადასხმის ინსტიტუტს დონორების პირველი ჯგუფი მისცეს თბილისის უნივერმაღმა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა, „სახელგამმა“ და მაკარონის ფაბრიკამ. ამ საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი ექ. მაღალოვისა და ექ. ბატაშვილის ხელმძღვანელობით ორგანიზებულად მივიდნენ ინსტიტუტში და ენტუზიაზმით იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე.

ექ. ი. შვანგირაძე

საქართველოს სსრ ჯანსახკომის სისხლის გადასხმის უფროსი ინსპექტორი.

სამამულო ომისადმი მიძღვნილი ბროშურების სერია

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა სცემს ფაშისტ მტაცებელთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ბროშურების სერიას და ლიტერატურას, რომელიც მოგვითხრობს ფაშისტების ავაზაკობას მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. უკვე დაიბეჭდა ბროშურები: ალექსი ტოლსტოისა — „რას ვიცავთ“, გენერალ-ლეიტენანტ ხოზინისა—„თავგასული მტრის ტრაბახა ჭორის შესახებ“, კონსტანტინოვისა — „სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის!“ გამოიცა გაზეთ „პრავდის“ 1941 წლის 26 და 27 ივნისის მოწინავე სტატიები — „ჩვენი საქმე სამართლიანია! მტერი დამარცხებული იქნება“ და „გმირულ შრომაში გამოიჭედება მტერზე გამარჯვება!“.

გამოვიდა კრებული წერილებისა და სტატიებისა — „ფაშისტ დამპყრობთა უღელქვეშ“, გ. ივანოვის ბროშურა — „ფაშისტ ბარბაროსთა უმაგალითო ვერაგობა“ და სხვ. (საკდესი).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის)—„კინო-კონცერტი“, **ოქტომბერი** — „ვოლგა-ვოლგა“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „ფრონტელი მეგობარი ქალები“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „თემური და მისი რაზმი“, **სპარტაკი** — „უკანასკნელი ატრაქციონი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „სუვოროვი“. **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — „ნათელი გზა“, **26 კომ. სახ.** (საზაფხულო)—„ხვალ თუ ომი იქნება“. **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„პროფესორი მამლოკი“, **კომინტერნი**—„ოპენჰეიმის ოჯახი“, **განთიადი**—„მხედრები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეოს და სამრეწველო-სატრანსპორტოს — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნებ ის. განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილებისა — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვებისა — 3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.

უე 33858